

სამოგზაურო დაზღვევის პირობები (ხელშეკრულება)  
# TIC 001/24

Travel Insurance Terms and Conditions (Agreement)  
# TIC 001/24

- 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები:**
- 1.1 მზღვეველი** - სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204540274);
- 1.2 დამზღვევი** - ფიზიკური პირი/იურიდიული პირი, რომელიც აფორმებს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებას და იხდის სადაზღვევო პრემიას დაზღვეულის სასარგებლოდ;
- 1.3 დაზღვეული** - პირი, რომლის სასარგებლოთაც ხორციელდება დაზღვევა. დაზღვეული შეიძლება იყოს თავად დამზღვევი ან სხვა პირი/პირები;
- 1.4 მოსარგებლე** - პირი, რომელიც დაზღვევის პირობების საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 1.5 სადაზღვევო პოლისი** - დოკუმენტი (ელექტრონული ან მატერიალური ფორმის სახით), რომელიც ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს;
- 1.6 დაზღვევის ხელშეკრულება** - სადაზღვევო პოლისის, დამზღვევის მიერ ელექტრონული ან მატერიალური ფორმით შევსებული და დადასტურებული განაცხადის და ამ პირობების ერთობლიობა;
- 1.7 სადაზღვევო პერიოდი** - სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის მოქმედების ვადა, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია;
- დაზღვევის მოქმედების ვადა იწყება პოლისში განსაზღვრული საწყისი თარიღის 00:00 საათზე და ძალაშია პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღის 23:59 საათამდე.
  - მაქსიმალური დღეების ლიმიტი შეადგენს ერთ პოლისზე 365 (სამასამოცდახუთი) დღე.
  - მრავალჯერადი/მულტი პოლისის სადაზღვევო პერიოდი იწყება პოლისში მითითებული დაზღვევის საწყისი თარიღის 00:00 საათზე და ძალაშია პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღის 23:59 საათის ჩათვლით, მაგრამ არაუმეტეს 365 (სამას სამოცდახუთი) დღისა. ამავდროულად, მოგზაურობათა რაოდენობა შეუზღუდავია, დაფარვა აქტიურდება საქართველოს საზღვრის ყოველ გადაკვეთაზე და ძალაშია პოლისით განსაზღვრული დაფარული დღეების განმავლობაში.
- 1.8 დაზღვევის ტერიტორია** - ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება დაზღვევის მოქმედება და რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში (გარდა გამოწვევისში მითითებული ქვეყნებისა პუნქტი 4.2);
- 1.9 სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხის ოდენობა, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს;
- 1.10 სადაზღვევო შემთხვევა** - წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევები, რომლის დადგომის შემთხვევაში მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას;
- 1.11 სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო პოლისში/დაზღვევის პირობებში მითითებული თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია დაზღვეულისთვის/მოსარგებლისათვის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევ(ებ)ის ჯამური ანაზღაურების მაქსიმალური თანხა;
- 1.12 ლიმიტი** - სადაზღვევო პოლისში/დაზღვევის პირობებში მითითებული თანხა/თანხები, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის მიერ შესაძლო მაქსიმალურ სადაზღვევო ანაზღაურებას;
- 1.13 კვლიმიტი** - კონკრეტული მომსახურების სახეობის ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც

- 1 Definitions of the terms used:**
- 1.1 Insurer** – JSC PRIME INSURANCE (Identification number: 204540274);
- 1.2 Insured** – a natural person / legal entity concluding a travel insurance agreement and paying an insurance premium in favor of the Policyholder;
- 1.3 Policyholder** – a person in whose benefit the insurance is carried out. Policyholder may be the Insured itself or any other person/persons;
- 1.4 Beneficiary** – a person who is entitled to receive insurance compensation based on the terms and conditions of insurance;
- 1.5 Insurance policy** – a document (in electronic or material form) confirming the fact of conclusion of this agreement;
- 1.6 Inyazsurance contract** - a combination of the insurance policy, the application filled out and confirmed by the insurer in electronic or material form and these terms and conditions;
- 1.7 Insurance period** – the term of insurance coverage indicated in the insurance policy during which the insurance is in force;
- The insurance period starts at 00:00 of the commencement date specified in the policy and is valid until 23:59 of the expiry date of the insurance period specified in the policy.
- The maximum number of days per policy is 365 (three hundred and sixty-five) days.
- The insurance period of a multiple/multi policy starts at 00:00 of the insurance commencement date specified in the policy and is valid until 23:59 of the expiry date of the insurance period specified in the policy, but not more than 365 (three hundred and sixty-five) days. At the same time, the number of trips is unlimited, the coverage is activated at each crossing of the border of Georgia and is valid during the days covered by the policy.
- 1.8 Insurance Area** – the area covered by the insurance and which is indicated in the insurance policy (excluding countries referred to in the Exclusions, paragraph 4.2);
- 1.9 Insurance Premium** – the amount of money indicated in the insurance policy, which the Insured must pay the Insurer;
- 1.10 Insured Event** – events specified by this Agreement, in case of occurrence of which the Insurer shall issue the insurance compensation;
- 1.11 Sum Insured** – maximum amount of money indicated in the insurance policy / terms and conditions of the insurance within which the maximum amount of the total compensation of the insured event(s) during the insurance period to the policyholder/beneficiary is established;
- 1.12 Limit** – amount/amounts indicated in insurance policy / terms and conditions of the insurance, which is the maximum possible insurance compensation by the Insurer;
- 1.13 Sublimit** – maximum limit for compensation of the type of specific service within which the Insurer is obliged to compensate expenses to the policyholder/beneficiary;

მზღვეველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს/მოსარგებლეს ხარჯები;

**1.14 ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი - მინიმუმი, რომელსაც მზღვეველი ნებისმიერ შემთხვევაში არ ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და რომელიც ყოველი ახალი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისას გამოიქვითება;

**1.15 უბედური შემთხვევა** - უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა დაზღვეულის ნებისგან დამოუკიდებლად თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

**1.16 გადაუდებელი მდგომარეობა** - უბედური შემთხვევის შედეგად ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მოულოდნელი გაუარესება, რომელიც საფრთხეს უქმნის დაზღვეულის სიცოცხლეს და საჭიროებს მყისიერ სამედიცინო დახმარებას;

**1.17 საწოლ-დღე** - სამედიცინო დაწესებულებაში გატარებული ერთი დღე-ღამე.

## 2. დაზღვევით დაფარული შემთხვევები და მათი განმარტებები:

**2.1 სასწრაფო სამედიცინო დახმარება** - ითვალისწინებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გაწეულ სამედიცინო მომსახურებას და/ან დაზღვეულის ტრანსპორტირებას უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში ულიმიტოდ, ნულოვანი ფრანშიზით;

**2.2 ამბულატორიული მომსახურება** - ითვალისწინებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რომლის დროსაც სამედიცინო ჩვენებით საჭიროა დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნება ერთი საწოლ-დღით ან ნაკლებად; მომსახურების ლიმიტი, ქველიმიტი, ფრანშიზა მითითებულია პოლისში;

**2.3 გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს სტაციონარში გაწეულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულებაში ერთ საწოლ-დღეზე მეტი ხნით დაყოვნებას და მოიცავს თერაპიული და ქირურგიულ ჰოსპიტალურ მომსახურებას. ჯამური ლიმიტი ჰოსპიტალურ მომსახურებაზე მითითებულია პოლისში.

**2.3.1 გადაუდებელი თერაპიული ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულებაში დიაგნოსტიკურ და კონსერვატიულ მკურნალობას. საწოლ-დღეზე ქველიმიტი მითითებულია პოლისში.

**2.3.2 გადაუდებელი ქირურგიული ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს გადაუდებელი მდგომარეობის დროს საჭირო სამედიცინო მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებელ ქირურგიულ ოპერაციებს და ოპერაციის შემდგომ საჭირო ჰოსპიტალურ მკურნალობას;

**2.4 გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს კბილის მწვავე ტკივილისას გადაუდებელ სტომატოლოგიურ მომსახურებას, რომელიც მოიცავს მხოლოდ ტკივილის გაყუჩებას და კბილის გადაუდებელ ექსტრაქციას. მომსახურების ლიმიტი, ქველიმიტი, ფრანშიზა მითითებულია პოლისში;

**2.5 გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება** - სამედიცინო მომსახურება, დაზღვეულის მიერ თვალის ტრავმული დაზიანების შემთხვევაში. მომსახურების ლიმიტი, ქველიმიტი, ფრანშიზა მითითებულია პოლისში;

**2.6 რეპატრიაცია** - მოგზაურობის განმავლობაში უბედური შემთხვევის ან უეცარი ავადმყოფობის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალებისას საქართველოს უახლოეს საერთაშორისო

**1.14 Deductible** – part of the amount of loss –minimum that the Insurer in any case will not reimburse in case of occurrence of insured event and which is deducted when compensation of each new insured event;

**1.15 Personal Accident** – sudden, unexpected occurrence resulting from exposure to explicit external forces, independent from the policyholder’s will and deteriorating the health of the policyholder;

**1.16 Emergency situation** – unexpected accident or unexpected deterioration of the health condition that threatens the life of the policyholder and requires immediate medical assistance;

**1.17 Bed-day** – one day and night in a medical facility.

## 2 Events covered by the insurance and their explanations:

**2.1 Emergency medical assistance** – Provides for medical service by the emergency medical team and/or transportation of the policyholder to the nearest medical facility in emergency situation without limit, with zero deductible;

**2.2 Outpatient services** – Provides for medical services required during emergency situations, where by the clinical indication it is required policyholder’s stay in the medical facility for one bed-day or less; Service limit, sub-limit, deductible is specified in the policy;

**2.3 Hospital services** – Provides for medical services at a hospital in emergency situations, which includes longer than one bed-day stay in a medical facility and includes therapeutic and surgical hospital services.. The total limit for hospital services is indicated in the policy.

**2.3.1 Therapeutic Hospital services due to Emergency** – Provides for medical services required during emergency, which includes diagnostic and conservative treatment in a medical facility that does not include and does not follow surgical operations. Sublimit for every bed-day is indicated in the policy;

**2.3.2 Surgical Hospital services – surgical treatment** – Provides for medical services required during emergency, which includes urgent surgical operations in the medical facility and hospital treatment needed after surgery.

**2.4 Emergency Dental services** – Provides for emergency dentistry services for acute toothache, which includes only pain relief and emergency tooth extraction. Service limit, sub-limit, deductible is specified in the policy;

**2.5 Emergency ophthalmological services** - medical services in case of traumatic eye damage by the insured. Service limit, sub-limit, deductible is specified in the policy;

**2.6 Repatriation** – In case of death of the insured as a result of an accident or sudden illness during the trip, reimbursement of the expenses necessary for transporting the body or ashes by air or car to

აეროპორტამდე ან საქართველოს ტერიტორიის უახლოეს სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე ცხედრის ან ფერფლის ავია ან ავტო გადმოსვენებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. მომსახურების ლიმიტი, ქველიმიტი, ფრანშიზა მითითებულია პოლისში;

**2.7 სამედიცინო ტრანსპორტირება** – სადაზღვევო პერიოდში მომხდარი და ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარე სადაზღვევო შემთხვევისას სამედიცინო პერსონალის თანხლებით დაზღვეულის საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული სამედიცინო დაწესებულებიდან საქართველოს საერთაშორისო აეროპორტამდე ან საქართველოს უახლოეს სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე ტრანსპორტირება. მომსახურების ლიმიტი, ქველიმიტი, ფრანშიზა მითითებულია პოლისში;

**2.8** დაზღვევა ძალაშია მხოლოდ სადაზღვევო პოლისში დაფარული ტერიტორიის ფარგლებში და დაფარული დღეების პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის მიმართ. ამასთან, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა პოლისით დაფარული დღეების განმავლობაში, მაგრამ დაფარული დღეების ამოწურვის მომენტისათვის, დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა ამ სადაზღვევო შემთხვევით განპირობებული და წინამდებარე დაზღვევის პირობებით დაფარული ჰოსპიტალური მკურნალობის გაგრძელება, მაშინ სადაზღვევო დაფარვის მოქმედება ამ სადაზღვევო შემთხვევასთან მიმართებაში გაგრძელდება პოლისში მითითებული დაფარული დღეების ამოწურვის შემდეგაც, მხოლოდ დაფარული დღეების ამოწურვის მომენტიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა ან იმ მომენტამდე, როდესაც დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა სამედიცინო ტრანსპორტირების შესაძლებლობას (რომელიც უფრო ადრე დადგება).

### 3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მომსახურების მიღების წესები:

**3.1** ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა დაუკავშირდეს მზღვეულის საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზს: (+995 32) 2 24 15 24; (+995 32) 2 24 15 25; (+995 32) \*1115 ან დაუკავშირდეს საერთაშორისო კომპანიის - Global Voyager Assistance ცხელ ხაზს: +7 (495) 775 09 99.

**3.2** შეტყობინება უნდა მოიცავდეს დაზღვეულის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- დაზღვეულის სახელი, გვარი;
- პოლისის ნომერი ან/და პირადი/პასპორტის ნომერი;
- საკონტაქტო მონაცემები, რომელზეც შესაძლებელია დაზღვეულთან/მის უფლებამოსილ პირთან დაკავშირება;
- შემთხვევის დეტალები და საჭირო გადაუდებელი დახმარება.

**3.3** ყველა შეტყობინება, რომელიც განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 24 საათის გასვლის შემდეგ, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობების მიხედვით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ამ ვადის გადაცილების დასაბუთებული, საპატიო მიზეზი;

**3.4** დაზღვეულმა სამედიცინო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს სადაზღვევო პოლისი. დაზღვეულმა მკურნალობის პროცესში ან არაუგვიანეს კლინიკის დატოვებამდე (მაგრამ არაუგვიანეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უნდა გამოაგზავნოს დასკანერებული შემდეგი დოკუმენტაცია (ინგლისურ ენაზე): სამედიცინო მომსახურების ინვოისი, ავადმყოფის ისტორია, ჩატარებული

the nearest international airport of Georgia or the nearest border crossing point of the territory of Georgia. Service limit, sub-limit, deductible is specified in the policy;

**2.7 Medical Transportation** – transportation of the insured from a medical institution located outside the borders of Georgia to the international airport of Georgia or to the nearest border crossing point of Georgia, accompanied by medical personnel, in the event of an insured event occurring during the insurance period and ongoing during this period. Service limit, sub-limit, deductible is specified in the policy;

**2.8** . The insurance is valid only for the insured event occurring within the territory covered by the insurance policy and during the covered days. In addition, if the insured event occurred during the days covered by the policy, but at the time of the expiration of the covered days, depending on the health condition of the insured, it is necessary to continue the treatment caused by this insured event and covered by the present insurance conditions, then the Hospital insurance coverage in relation to this insured event will continue even after the expiration of the covered days specified in the policy. only no more than 15 (fifteen) calendar days or until the moment when the insured's health condition allows for medical transportation (whichever is earlier).

### 3 Rules for receiving service in the case of occurrence of the event insured:

**3.1** In case of occurrence of any insured event, the policyholder / other authorized person shall contact the Information Service of the Insurer by the hotline immediately, but no later than 24 hours after the incident: (+995 32) 2 24 15 24; (+995 32) 2 24 15 25(+995 32)\*1115 or contact the hotline of the international company – Global Voyager Assistance: +7 (495) 775 09 99.

**3.2** The notification must include the following information about the insured:

- name, surname of the policyholder
- policy number and/or personal/passport number;
- Contact data, on which it is possible to contact the policyholder/his authorized person;
- Details of the incident and the emergency assistance required.

**3.3** All notifications made after 24 hours of the occurrence of an insured event are not subject to reimbursement under these terms and conditions, unless there is a reasonable, honorable reason for exceeding this period;

**3.4** The policyholder shall present the insurance policy to the medical facility. In the process of treatment or no later than leaving the clinic (but no later than within 30 (thirty) calendar days after the occurrence of the insured event), the policyholder shall submit the following scanned documents via e-mail (in English): medical service invoice, medical history of the patient, listing of medical services provided with indication of cost, as well as the passport and copy of the insurance policy. When complete documentation is received, the

სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი ღირებულებების მითითებით, ასევე პასპორტი და სადაზღვევო პოლისის ასლი. სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებისას, მზღვეველი განიხილავს დოკუმენტაციას. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მზღვეველი თავად მოახდენს ანგარიშსწორებას სამედიცინო დაწესებულებასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება გამოხატავს მზღვეველთან თანამშრომლობის სურვილს.

**3.4.1** იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს მოუწევს მომსახურების ღირებულების გადახდა, საქართველოში დაბრუნებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში (მაგრამ არაუგვიანეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში) მან უნდა წარმოადგინოს სათანადო წესით დამოწმებული, ქართულ ენაზე ნათარგმნი სამედიცინო და გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაცია. დოკუმენტაციაში ნათლად უნდა ჩანდეს ჩატარებული მომსახურებები და მათი ღირებულებები. მზღვეველის მხრიდან ანაზღაურება გაიცემა გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით დაზღვეულის საბანკო ანგარიშზე (დაზღვეული ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები).

**3.4.2** მზღვეველი ანაზღაურებს მხოლოდ ჩვეულებრივ და გონივრულ ფარგლებში გაწეულ სამედიცინო მომსახურების ხარჯებს ფრანშიზის გამოკლებით. ჩვეულებრივ და გონივრულ ფარგლებში გაწეული სამედიცინო ხარჯები ნიშნავს სამედიცინო მომსახურების გაწევის ქვეყნის სტანდარტულ გადასახადებს და სხვა გადასახადებს, რომლებიც არსებობენ მსგავსი სახის და სიმწვავის შემთხვევათა მკურნალობაზე.

**3.4.3** მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვეულს მოსთხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

### **3.5 რეპატრიაციის შემთხვევაში:**

**3.5.1** რეპატრიაციის საჭიროების დადგომისას დაზღვეული/ან სხვა უფლებამოსილი პირი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმდეს მზღვეველს და დაუკავშირდეს ცხელ ხაზს: (+995 32) 2 24 15 24; (+995 32) 2 24 15 25; (+995 32)\*1115 ან დაუკავშირდეს საერთაშორისო კომპანიის - Global Voyager Assistance ცხელ ხაზს: +7 (495) 775 09 99;

**3.5.2** შემთხვევიდან გამომდინარე მზღვეველმა შესაძლებელია თავად განსაზღვროს რეპატრიაციის პროცედურები;

**3.5.3** მზღვეველთან წინასწარი შეთანხმების გარეშე რეპატრიაციის ხარჯების დაფარვისას, მზღვეველი თავისუფლდება რეპატრიაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისგან.

**3.5.4** დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ცხედრის რეპატრიაციის ხარჯების ადგილზე გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა გადახდის კვითარში გადამხდელად მითითებულ პირზე. გადამხდელი პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პირველი რიგის სამართალმემკვიდრეზე, გადახდის კვითარის წარმოდგენის საფუძველზე. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ცხედრის რეპატრიაციის ხარჯები დაფარა იმ სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეც იყო დაზღვეული.

### **3.6 დაზღვეულის სამედიცინო ტრანსპორტირების საჭიროებისას:**

**3.6.1** მზღვეველი უფლებამოსილია მოახდინოს დაზღვეულის საქართველოში სამედიცინო ტრანსპორტირება, დაზღვეულთან/დაზღვეულის უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით.

Insurer shall review the documentation. In the case of a positive decision, the Insurer will make settlement with the medical facility only if the medical facility expresses the desire to cooperate with the Insurer.

**3.4.1** In case if the policyholder has to pay the cost of service, within five (five) working days from the date of return to Georgia (but no later than within 30 (thirty) calendar days after the occurrence of the insured event), s/he shall submit the duly notarized and translated into Georgian medical documentation and financial documentation confirming payment. The documentation shall clearly indicate the services provided and their costs. The Insurer will issue the compensation within 5 (five) working days from making decision by transfer to the bank account of the policyholder (the policyholder shall present the bank details).

**3.4.2** The insurer reimburses only ordinary and reasonable expenses for medical services provided, excluding deductibles. Usual and reasonable medical expenses mean the standard charges of the country where the medical service is provided and other fees applicable to the treatment of cases of a similar nature and severity.

**3.4.3** The insurer is entitled to request the insured to submit additional documentation related to the incident.

### **3.5 In the case of repatriation:**

**3.5.1** In case of need for repatriation, the policyholder / or other authorized person is obligated to agree with the Insurer in advance and contact the hotline: (+995 32) 2 24 15 24; (+995 32) 2 24 15; (+995 32) \*1115 or contact the hotline of the international company – Global Voyager Assistance: +7 (495) 775 09 99;

**3.5.2** Based on the event, the Insurer may determine the repatriation procedures by itself;

**3.5.3** In the case of coverage of expenses of repatriation without prior agreement with the Insurer, the Insurer is exempt from the obligation to reimburse the expenses related to repatriation.

**3.5.4** In case of death of the insured person, in case of paying the costs of repatriation of his body, the insurance compensation will be issued to the person indicated as the payer in the payment receipt. In case of impossibility to identify the paying person, compensation will be given to the first-order legal heir of the policyholder, based on the presentation of the payment receipt. Insurance compensation will not be issued if the costs of repatriation of the body was covered by the state of which the insured was a citizen.

### **3.6 In case of Medical Transportation of the Insured:**

**3.6.1** The Insurer is authorized to medically evacuate the Policyholder to Georgia, in agreement with the Policyholder /the authorized person of the Policyholder.

**3.6.2** მზღვეველის ცხელ ხაზზე შეტყობინების დატოვებიდან 48 სთ-ში დაზღვეულმა/დამზღვევემა ან სხვა უფლებამოსილმა პირმა დასკანერებული სახით ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

- პოლისის ასლი;
- საზღვარგარეთის პასპორტის ასლი;
- ექიმის დასკვნა დიაგნოზი, ტრანსპორტირების საჭიროების მითითებით ინგლისურ ენაზე.

**3.6.3** იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის სამედიცინო ექსპერტთა ჯგუფი, მკურნალ ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, შესაძლოდ ჩათვლის დაზღვეულის სამედიცინო ტრანსპორტირებას და შესთავაზებს დაზღვეულს/დაზღვეულის უფლებამოსილ პირს, მაგრამ დაზღვეული/დაზღვეულის უფლებამოსილი პირი უარს იტყვის დაზღვეულის საქართველოში ტრანსპორტირებაზე და არ წარმოადგენს მოტივირებულ სამედიცინო დასკვნას, რომლითაც დადასტურდება, რომ ტრანსპორტირება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, მზღვეველი თავისუფლდება დაზღვეულის როგორც სამედიცინო, ასევე ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებისგან.

**3.7** მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, შესაბამისი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

**3.8** მზღვეველი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ მოითხოვოს მისი ნდობით აღჭურვილი ექიმ-ექსპერტის მიერ დამატებითი მოკვლევის ჩატარება.

**3.9** მზღვეველი უფლებამოსილია გადაამოწმოს ზიანის მოცულობა და დანახარჯების სისწორე.

**3.10** ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

**3.11** წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ვადაგადაცილება ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით.

**3.12** წინამდებარე პირობების და პოლისის საფუძველზე მზღვეველი იღებს ვალდებულებას მიიღოს გადაწყვეტილება ანაზღაურების გადახდაზე ან გასცეს მოტივირებული წერილობითი უარი დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ ყველა აუცილებელი დოკუმენტის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

**3.13** სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება მზღვეველის მიერ ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში ანაზღაურების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

#### 4. გამონაკლის(ებ)ი - შემთხვევები, რომლებსაც მზღვეველი უპირობოდ არ ანაზღაურებს

**4.1** სამოქალაქო ან სხვა სახელმწიფოსთან ომის, აჯანყების, დემონსტრაციების, ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის, არეულობის დროს დამდგარი შემთხვევები;

**4.2** წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაფარვა არ ვრცელდება შემდეგ ქვეყნებში: ერაყი, ავღანეთი, სომალი, ასევე ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამხარი მოქმედებები, გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა ან წარმოადგენს კონფლიქტის ზონას;

**3.6.2** Within 48 hours after leaving a message on the insurer's hotline, the insured or another authorized person must submit, in scanned form, via e-mail:

- a copy of the policy;
- Copy of foreign passport;
- Doctor's conclusion, diagnosis, indicating the need for transportation in English.

**3.6.3** In the event that the Insurer's medical expert group, on the basis of consultation with the attending physician, may consider medical transportation of the Insured and offer it to the Policyholder / Policyholder's Authorized Person, but the Policyholder /Policyholder's Authorized Person refuses to transport the Insured to Georgia and does not present a motivated medical opinion, which is confirmed by, that the transportation poses a threat to his life or health, the insurer is released from the reimbursement of both medical and transportation expenses of the insured.

**3.7** The insurer is entitled to request the submission of other additional documentation, in case of relevant need.

**3.8** The Insurer is entitled, as necessary, to request an additional examination by a doctor-expert under his trust.

**3.9** The insurer is authorized to verify the amount of damage and correctness of expenses.

**3.10** The maximum deadline for submission of documentation required for reimbursement is 30 (thirty) calendar days.

**3.11** In case of exceeding the term(s) stipulated by these terms and conditions, insurance compensation will not be issued, except in exceptional cases when the deadline is due to objective reasons, which must be confirmed by relevant and appropriate evidence.

**3.12** Based on these terms and conditions and the policy, the insurer undertakes to make a decision on the payment of compensation or issue a motivated written refusal within 5 (five) working days after the submission of all necessary documents by the insured/policyholder/beneficiary.

**3.13** Insurance compensation is paid by the insurer no later than 5 (five) working days after the decision on compensation is made, through cashless settlement, in national currency in accordance with the official exchange rate established by the National Bank of Georgia on the day of compensation

#### 4 Exclusion(s) – events that shall not be unconditionally compensated by the Insurer

**4.1** Events occurred during civil war or war with the other state, rebellion, demonstrations, terrorist acts or sabotage, disorders;

**4.2** Coverage specified in these terms and conditions does not apply to the following countries: Iraq, Afghanistan, Somalia, as well as to all areas where hostilities are ongoing, a state of emergency has been declared or are a conflict zone;

- 4.3** ეპიდემიების, პანდემიების და სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 4.4** რადიოაქტიური წყაროს ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- 4.5** ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას მიღებული დაზიანებები;
- 4.6** განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, თვითდაშავებით, თვითმკვლელობის და თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად მიღებული დაზიანებების ხარჯები;
